საქართველოს მთავრობის

დადგენილება №20

2026 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№1023-IVმს-XIმპ, 11/11/2025) მე-2 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2012, 010240010.10.003.017063) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ნივთის აუქციონის, მათ შორის, ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებას პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სავაჭრო ობიექტის (მათ შორის, ინტერნეტმაღაზიის) საშუალებით;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „დ“ – „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებას მესამე პირის მეშვეობით, განაწილებასა და განადგურებას;

ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ლიზინგის ფორმით გადაცემას;

ვ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ინიციირებასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;“.

2. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სააგენტოს სავაჭრო ობიექტების (მათ შორის, ინტერნეტმაღაზიის) საშუალებით მოძრავი ქონების პრივატიზების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სავაჭრო ობიექტების მეშვეობით მოძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე სააგენტოს

თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ფასდაკლებების განსახორციელებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;“.

3. მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას, ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევამდე ან სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემამდე არსებული შეფასების, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე წინადადებების მომზადება;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 29 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**